



შპს “ვაზიანი კომპანი”

წლიური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნები


2019 წელი

ზოგადი სარჩევი

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება.....	A
2019 ფინანსური წლის მმართველობითი ანგარიში.....	I
ფინანსური ანგარიშგება	18
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	19

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება


წინამდებარე 2019 წლის წლიური ანგარიში: მმართველობითი ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა) და ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს „ვაზიანი კომპანი“-ს ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 დეკემბერს:



ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი



ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსრების მენეჯერი



მმართველობითი ანგარიშგება 2019

შპს „ვაზიანი კომპანი“

✉ info@vazianicompany.com

🌐 www.vaziani.ge

☎ +995 322 904774

📍 42 Mshvidoba str, 2200, Telavi



სარჩევი

III შესავალი

IV საექსპორტო ბაზრის მიმოხილვა

V სიახლეები

IX ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

IX კორუფციასთან ბრძოლა

X ორგანიზაციული სტრუქტურა

ფინანსური რისკები და მათი მართვის მექანიზმები

XI საკრედიტო რისკები

XI საოპერაციო რისკები

XII ლიკვიდურობის რისკი

XII საბაზრო რისკები

XIII კოვიდ-19

შესავალი

ვაზიანი დაფუძნდა 1982 წელს, რომლის რესტრუქტურირაცია 2012 წელს მოხდა. მოდერნიზებული ქარხანა აშენებისთანავე აღიჭურვა თანამედროვე იტალიური დანადგარებით და უქანგავი ლითონისგან დამზადებული რეზერვუარებით. ეს არის უნიკალური საწარმო მთლიანად წარმოების დახურული ციკლით, დაწყებული ყურძნის შერჩევიდან, საბოლოო პროდუქტამდე, რომელიც სრულად შეესაბამება ISO22000-2018-ის საერთაშორისო სტანდარტებს.

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ დაადასტურა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურების, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე.

კომპანია ვაზიანის ისტორია მრავალწლოვან მაყაშვილის ღვინის მარანს უკავშირდება, ის კი თავის მხრივ თავადი მაყაშვილების საგვარეულოს. დღეს ამ საგვარეულოს შთამომავლების მიერ შექმნილ კომპანიაში მზადდება ქვევრის ღვინოები, რომელიც აკმაყოფილებს ექსპერტთა უმკაცრეს და ღვინის მოყვარულთა დახვეწილ გემოვნებას, რამაც ამ ღვინოებს უამრავ საერთაშორისო პრესტიჟულ კონკურსებზე უმაღლესი შეფასება მოუტანა.

მეღვინეობა ვაზიანი, მდებარეობს კახეთში, თელავის ცენტრში. მისი მოსახერხებელი ადგილმდებარეობა როგორც სტრატეგიული, ლოგისტიკური კუთხით, ასევე ტურიზმის თავის საზრისითაც საინტერესოა.

საწარმოს რეკონსტრუქციის შემდეგ 2012 წელს მოხდა მისი ხელახალი აღჭურვა. ერთი მხრივ მეღვინეობა წარმოადგენს უახლეს, თანამედროვე ტექნოლოგიურ საწარმოს, ხოლო მეორეს მხრივ, მაყაშვილის მარნის ასწლოვანი ისტორია თავისი ქვევრებით, ჰქმნის თანამედროვეობისა და ტრადიციულ ტექნოლოგიების საინტერესო სინთეზს.

ვაზიანის ღვინის წარმოების ტექნოლოგია ეფუძნება არამხოლოდ კახურ ტრადიციულ მეღვინეობას, არამედ ისტორიულ გამოცდილებასთან ადაპტირებულ თანამედროვე ტენდენციებს. კომპანიის სიმბოლიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი ფარშევანგი, ერთობ საინტერესო ისტორიას უკავშირდება, ლეგენდის თანახმად ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ საქართველოში სტუმრად ყოფნის დროს ფარშევანგის ულამაზესი კუდის გაშლის პროცესი ქართული ღვინის გემოს შეაღარა. „იხსნება ისევე ნელა და ნაზად, გრძნობ თავბრუდამხვევ სიამოვნებას, რომელსაც გინდა დიდხანს შეიგრძნობდე“.

ქართული ტრადიციული მეღვინეობა რთული წარმოსადგენია ქვევრის გარეშე. უძველესი, ღვინის ქვევრში დაყენების მეთოდი, რომელიც 8000 წელს ითვლის ქვეყნის ერთ-ერთი კულტურული საგანძური და მისი ერთგვარი სავიზიტო ბარათია. კომპანიას აქვს საკუთარი, ღვინის მარანი, რომლის ისტორია, ჯერ კიდევ XV საუკუნის მე-2 ნახევრიდან მაყაშვილების სათავედღან იღებს სათავეს. ვაზიანი თავადი მაყაშვილების ქვევრის ღვინის დაყენების განსაკუთრებული ტექნოლოგიის მემკვიდრე და მიმდევარია.

პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს ქართული ღვინის 24 სახეობაზე მეტს, მათ შორის ქვევრის ხაზში შედის ისეთი ცნობილი ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინოები, როგორებიცაა საფერავი, ქისი, რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, კაბერნე და ა.შ. გარდა ამისა კომპანიას აქვს ღვინის საკუთარი სავაჭრო ნიშანი: „მაყაშვილის ღვინის მარანი“, „ვაზიანი“, „საოჯახო“, და „ქართული ტრადიციული“.

ვაზიანი სწრაფად განვითარებადი კომპანიაა, ბოლო პერიოდის განმავლობაში მისი ღვინოები დაჯილდოვდა საერთაშორისო დონის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოებით.

საექსპორტო ბაზრების მიმოხილვა

საქართველოს საექსპორტო პროდუქტებიდან ღვინო და ბრენდი ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი პროდუქტებია საქართველოში. 2019 წელიც ქართული მეღვინეობისთვის წარმატებული აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „რთველი 2019“ გამორჩეული იყო რეკორდული მოსავლით, შესაბამისად მზარდია წარმოება.

2019 წელს მოხდა სტრატეგიული ბაზრების განსაზღვრა, როგორც კომპანიის შიგნით, ისე ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად. ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით 2019 წელს მონაწილეობა მივიღეთ 10-მდე სხვადასხვა საერთაშორისო დეგუსტაციასა და კონკურსში. ასევე სტრატეგიულ ბაზრებზე სხვადასხვა ღონისძიებები განვახორციელეთ პარტნიორ კომპანიებთან ერთად და მონაწილეობა მივიღეთ 5-ზე მეტ საერთაშორისო გამოფენაში, მათ შორის: საფრანგეთში, ჩინეთში, გერმანიაში და ასე შემდეგ.

2019 წელი კომპანიისთვის საკმაოდ რთული, თუმცა საინტერესო გამოდგა. 2019 წელიდან დავიწყეთ ექსპორტში რუსეთის ბაზრის წილის შემცირება, რაც ბაზრების დივერსიფიცირების ხარჯზე მოხდა. 2019 წელს დაგვემატა ისეთი საინტერესო და მზარდი ბაზარი, როგორიც არის ბელორუსია, დანია, ესტონეთი,



სიახლეები

რა გავაკეთეთ ბიზნესის წარმატების მისაღწევად 2019-ში?

ცვლილებების წელი

ეს წელი ახალი ამბების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების წელი იყო კომპანიისთვის. 2019-ში ვაზიანი დაესწრო სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენასა და კონკურსებს, და მიიღო მრავალი უმაღლესი ჯილდო, რითაც კომპანია ძალიან ამაყობს. კომპანიაში უამრავი ცვლილებაა, რაზეც ამჟამად კონცენტრირებულნი ვართ, მათ შორის, ჩვენი კლასიკური ევროპული ღვინის ეტიკეტების რეზერენდინგი, პოსტპანდემიურ პერიოდში ღვინის ტურიზმის განვითარება და ქარხნის გაფართოება.



40 ჰა ვენახის გაშენდა ქინძმარაულის მიკრო ზონაში.

7 ახალი საექსპორტო ბაზარი



კონკურსები, ჯილდოები, გამოფენები



საკურას ქალთა ღვინის დაჯილდოება

ბრილიანტი - “მაყაშვილის ღვინის მარანი,” ქისი 2017
ორმაგი ოქრო - “მაყაშვილის ღვინის მარანი,” ქისი 2017
ოქრო - “მაყაშვილის ღვინის მარანი,” საფერავი 2015”
ვერცხლი - მეღვინეობა ვაზიანი, საფერავი-კაბერნე 2017”
ვერცხლი - “მაყაშვილის ღვინის მარანი,” ხიხვი 2017

მუნდუს ვინი

ოქრო და “შოუს საუკეთესო ქართული თეთრი ღვინო”:

კასრის რქაწითელი 2016

ოქრო: წინანდალი 2017



ისეტანის ღვინის გამოფენა

მეღვინეობა ვაზიანმა იაპონიაში, კერძოდ კი ტოკიოში, ყველაზე დიდი ქსელის, “ისეტანის” (Isetan Department Store) მიერ ორგანიზებულ ღვინის გამოფენაში, „Isetan Wine Fair” - ში მიიღო მონაწილეობა.

ღვინო - რა?

ვაზიანი იაპონური ჟურნალის, „Wine-What” - ის გვერდებზე აღმოჩნდა, სადაც ბატონი ფუმიჰიკო სუზუკი „მაცაშვილის მარანის“ ღვინოების ტაილანდურ ცხარე კერძებთან შეხამებაზე საუბრობს. სუზუკი ტოკიოს ერთ-ერთ საუკეთესო ტაილანდურ რესტორან „Longrain Tokyo” - ში გამართულ ვახშამს სტუმრობდა, სადაც მაცაშვილის მარანის ხუთი ღვინო – რქაწითელი, ქისი, მწვანე, საფერავი და ხიხვი დააგემოვნა. სუზუკიმ საკმაოდ დეტალურად აღწერა თითოეული ღვინო და ნათლად გამოხატა თავისი სიმპათია მაცაშვილის ღვინის მარნის ღვინოების კომპლექსურ და საუცხოო ხასიათზე. ვაზიანის ღვინოები უკვე ხელმისაწვდომია რესტორნის მენიუში.



პროვაინ 2019

პროვაინზე ვაზიანმა უმაღლესი ჯილდოები მოიპოვა მუნდუს ვინისგან. ოქროს მედლები ერგო:



რქაწითელი 2016 და წინანდალი 2017 - ს.



რქაწითელი 2016 - მა ასევე მიიღო “შოუს საუკეთესო თეთრი ღვინის” ჯილდოც.

ჩინეთის მე-100 საკვებისა და სასმლის გამოფენა



ვაზიანმა ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „**The 100th China Food & Drinks Fair**“ – ში მიიღო მონაწილეობა. გამოფენა ქალაქ ჩენგდუში 21–23 მარტს ჩატარდა. ღვინის მწარმოებლებსა და ვიზიტორებს საშუალება მიეცათ დაეგემოვნებინათ ვაზიანის კლასიკური, ვაზიანი პრემიუმისა და „მაცაშვილის ღვინის მარნის“ ხაზის ღვინოები.





რებრენდინგი და სამომავლო გეგმები

ჩვენ აქტიურად ვემზადებით სამომავლო გამოწვევებისთვის. დღესდღეობით კონკურენცია საკმაოდ დიდია, შესაბამისად, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შევქმნათ პროდუქტი, რომელიც არის განსხვავებული ხარისხობრივად და ჩვენი საერთაშორისო მომხმარებლის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ჩვენ გადავწყვიტეთ კლასიკური ღვინოების რებრენდინგი, რომ ინდუსტრიის დღევანდელ ტრენდებს ავუწყოთ ფეხი და ვფიქრობთ, რომ ახალმა ეტიკეტებმა ჩვენი კომპანიის ხედავად უნდა გამოხატონ და მოხიბლონ მომხმარებელი.

იმისათვის რომ მეტი ტურისტი მოვიზიდოთ და ქარხანა მეტად სასურველ მოსანახულებელ ზონად გადავაქციოთ, ჩვენ ქარხნის გაფართოების გეგმაზე დავიწყეთ მუშაობა. რაც შეეხება ვენახებს, ძალიან მალე გვექნება ჩვენი ღვინის სახეობები 120 ჰექტარზე გაშენებულ ვენახებში ყვარელში, ქინძმარაულის მიკროზონაში. ღვინის ნაირსახეობები შემდეგია: რქაწითელი, საფერავი, ხიხვი, ქისი, კრახუნა, შარდონე და უსახელოური.

ამჟამად ვემზადებით ვინექსპო ბორდო 2019-სთვის, სადაც ჩვენს ღვინოებს დიდ აუდიტორიას წარვუდგენთ. ასევე მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ ჩვენი ახალი შეფუთვა ჭაჭისთვის.

ჩვენი მთავარი მისია არის გავაორმაგოთ ექსპორტი მომავალი წლისთვის, გავზდეთ ცნობადი და საყვარელი ბრენდი საქართველოს ბაზარზე და მოვიზიდოთ ის ბაზრები, რომლებიც ჯერ არ დაგვიპყრია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოში შრომის უსაფრთხოება რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმით. ამასთანავე შპს „ვაზიანი კომპანი“-ში დანერგილია შრომის უსაფრთხოების კონტროლის შესაბამისი ინსტრუქცია.

ორგანიზაციის ტერიტორიაზე სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო დაფები, სამედიცინო დახმარების ყუთები აღჭურვილი საჭირო საშუალებებით თითოეულ ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას.

არსებობს კრიზისული სიტუაციების გეგმა, მითითებულია იმ პასუხისმგებელ პირთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც უნდა იქნენ გამოძახებული კრიზისული სიტუაციების დროს. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა.

შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის მიერ შეფასებული და მაქსიმალურად კონტროლირებულია პერსონალის შრომითი გარემოს მიმართ არსებული სპეციფიკური რისკები. არსებობს პოტენციური რისკების მონაცემთა ბაზა, სადაც განხილულია ნედლეულის ან დანადგარის მიერ შექმნილი ყველა შესაძლო საფრთხე პერსონალის ჯანმრთელობის მიმართ.


სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მონიტორინგის და კონტროლის გეგმა. პერმანენტულად ტარდება ინსპექტირება სპეციალურად მომზადებული ჩეკლისტების დახმარებით და კეთდება მონიტორინგის ჩანაწერები, რომლებიც გამოიყენება არსებული მდგომარეობის ანალიზისა და მაკორექტირებელი/პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

კომპანია ახორციელებს თანამშრომლების დაზღვევას, როგორც კანონით გათვალისწინებული სავალდებულო უბედური შემთხვევებისაგან ასევე ჯანმრთელობის დაზღვევას პრევენციის მიზნით.

კორუფციასთან ბრძოლა

კორუფციის რისკის გამოვლენის მმართველობითი სისტემის კუთხით შპს „ვაზიანი კომპანი“-ში 2015 წლიდან დანერგილია სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემა ISO 22000:2005-ს შესაბამისობაზე, ეს სისტემა თავის მხრივ ჰარმონიზირებულია ISO 9001 სტანდარტის მოთხოვნებთან, რომელიც აწესებს მოთხოვნებს ხარისხის მართვის სისტემაზე თითოეულ ეტაპზე.

მოწესრიგებული მმართველობითი სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის წარმოების ციკლის თითოეული პროცესის თანხმლები დოკუმენტაცია, გვაძლევს ჯაჭვის ცალკეულ ეტაპზე მიკვლევადობის საშუალებას ნებისმიერი საჭიროებით. ეს შეეხება, როგორც შესყიდვების მონიტორინგს, ასევე ნებისმიერ ფინანსურ ქმედებისა თუ ტრანზაქციის კონტროლს. თითოეული პროცედურა დეტალურად არის გაწერილი და გამჭვირვალეა.



ფინანსური რისკები და მათი მართვის მექანიზმები

შპს „ვაზიანი კომპანი“-სთვის მნიშვნელოვანია ფინანსური რისკების იდენტიფიცირება, რათა დროულად მოხდეს მაკორექტირებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით.

კომპანია გამოყოფს ძირითად ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკები
- საოპერაციო რისკები
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკები

საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკად მიჩნეულია კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, რომლის შედეგადაც კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მიზნით, ყოველი ახალ კონტრაგენტთან სახელშეკრულებო პირობების გაფორმებამდე ხორციელდება კონკრეტული საექსპორტო ბაზრის მიმოხილვა და შესაბამისი საკონსიგნაციო ვადის დადგენა. სახელშეკრულებო პირობებში ასევე გაიწერება საკრედიტო თანხის ლიმიტი და ვადა.

დღევანდელი მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნებიდან წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის მაქსიმალური ვადა განსაზღვრულია 90 კალენდარული დღე.

საოპერაციო რისკები

კომპანიის საოპერაციო რისკებად განისაზღვრა კომპანიის გაუთვალისწინებელი ზარალი მარაგების და აქტივების გაფუჭება/დაზიანებით, განზრახ და უნებლიედ პერსონალის შეცდომების გამო. საოპერაციო რისკების პრევენციისთვის კომპანიაში შემუშავებულია რიგი მექანიზმები:

- კომპანიაში შემუშავებულია ბიოტერორიზმთან ბრძოლის სისტემა, რომელიც თავის მხრივ გამორიცხავს ცალკეულ საამქროებში უცხო პირთა შეღწევას და მიზანმიმართულად კომპანიისთვის ზიანის მიყენებას.

- თითოეულ პროდუქტზე გაწერილია სპეციფიკაცია, რომელშიც ასახულია შენახვა-მიწოდების მოთხოვნები. რომლის თანმიმდევრული შესრულება გამორიცხავს მარაგების გაფუჭებას.
- მიმდინარეობს მომხმარებლისგან შემოსული ნებისმიერი შინაარსისი რეკლამაციის აღრიცხვა, ანალიზი და დროული რეაგირება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის კომპანიის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები ყველაზე სწრაფი ლიკვიდური აქტივებით, კერძოდ ფულადი სახსრებით და დებიტორული დავალიანებით დათქმულ ვადაში, მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების, საჯარიმო სანქციების გარეშე.

კომპანია ორიენტირებულია დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობით, ყოველთვის წინასწარ განსაზღვროს ლიკვიდურობის რისკი, ამისთვის ჩვენ ვუზრუნველყოფთ მოთხოვნის ეკვივალენტ აქტივის დონის შენარჩუნებას.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში გაწერილი მოთხოვნებიდან გამომდინარე იგეგმება წლიური, კვარტალური და თვიური ბიუჯეტი, იმისთვის, რომ კომპანია წინასწარ ფლობდეს ინფორმაციას მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების შემდგომ სათანადო ოდებობის ფულასი სახსრების არსებობას ფინანსური ვალდებულებების მომსახურების დასაკმაყოფილებლად.

საბაზრო რისკები

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ყოველთვის მოქმედებს მაკრო, მეზო და მიკრო ფაქტორების ცვლილებები. რომელიც პირველ რიგში სარეალიზაციო ბაზრებზე ნებისმიერი ცვლილებით, ეროვნული ბანკის საპროცენტო განაკვეთით, თუ გაცვლითი კურსით პირდაპირ პროპორციულად აისახება კომპანიის მდგომარეობაზე, მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, პირველ რიგში აისახება ეროვნულ ვალუტაში მიღებულ სესხებზე, თავისმხრივ აღნიშნული სესხის სამართლიანი ღირებულების ცვლილება პერიოდულად გადაიანგრიშდება. რომლის პროგნოზირება და შესაბამისი პრევენციის დაგეგმარება შეუძლებელია.

კომპანიისთვის აღნიშნული რისკი განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დიდი საფინანსო რისკი, რომელზეც ზემოქმედება ან თუნდაც წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ახალგაზრდა მზარდი კომპანიისთვის, რომელიც განაგრძობს გაფართოვებას და გადაიარაღებას, რთულია დადგინდეს შეზღუდვა ეროვნულ ვალუტაში ასათვისებელი სესხის ზღვრულ ოდენობაზე.

კოვიდ-19

კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხე აღმოჩნდა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც, მათშორის ვირუსმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. ჩაკეტილმა საზღვრებმა და მოსახლეობის იზოლაციამ წარმოშვა რისკი მიწოდების ჯაჭვის შეფერხებაზე, რაც თავისმხრის შემდგომ მოთხოვნის დროულ დაუკმაყოფილებლობას გამოიწვევდა. გვინდა ავღნიშნოთ, რომ მიუხედავად სხვადასხვა ასაკობრივი თანამშრომლებით დაკომპლექტებული შტატის და სხვადასხვა ქალაქებში არსებული ლოკაციების, კომპანია საკმაოდ მცირე პერიოდში მოერგო განახლებულ რეალობას და სწრაფად გადაეწყო ციფრული კომუნიკაციის რეჟიმს წარმოების ციკლის შეუფერხებლად ოპერირებისთვის.

„კოვიდ 19“-მა ნეგატიურად იმოქმედა კომპანიაში არსებულ ტურისტულ ზონაზე. კომპანიაში ბიუჯეტთან შედარებით არსებული საცალო გაყიდვები 80% არის შემცირებული.

შპს “ვაზიანი კომპანი“
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
წლიური ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019 წელი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	19
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	22
სრული შემოსავლის ანგარიშგება	23
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	24
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	25
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	26
შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა	26
შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	26
შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები	32
შენიშვნა 4. ბიოლოგიური აქტივები	33
შენიშვნა 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33
შენიშვნა 6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	33
შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33
შენიშვნა 8. სასესხო ვალდებულებები	34
შენიშვნა 9. გაყიდვების თვითღირებულება	34
შენიშვნა 10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	34
შენიშვნა 11. სხვა ხარჯები	35
შენიშვნა 12. ფინანსური ხარჯი	35
შენიშვნა 13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
შენიშვნა 14. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვაზიანი კომპანი“-ს დამფუძნებლებს:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ვაზიანი კომპანი“-ს (შემდგომში, „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების (გვ. 22-36) აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებითი ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მარაგები კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახულია 4,016 ათასი ლარით (2018: 5,198 ათასი ლარით). იმის გამო, რომ ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ დავსწრებოდით მარაგების ამ თარიღისათვის თვლას და ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი მტკიცებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების რაოდენობების შესახებ. ამიტომ, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ზემოთ აღნიშნულ თანხებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2020 წლის 25 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებათა ერთად (იხილეთ გვ. I-XIII), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. I-XIII) მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

25 დეკემბერი, 2020 წელი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	7,703	7,230	7,113
ბიოლოგიური აქტივები (შენიშვნა 4)	8,427	4,839	-
არამატერიალური აქტივები	20	24	28
სულ გრძელვადიანი აქტივები	16,150	12,093	7,141
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4,016	5,198	4,878
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 4)	1,230	1,660	2,793
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 6)	36	304	490
სულ მიმდინარე აქტივები	5,282	7,162	8,161
სულ აქტივები	21,432	19,255	15,302
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალში შენატანი	245	245	245
გაუნაწილებელი მოგება	5,559	5,314	5,531
სულ კაპიტალი	5,804	5,559	5,776
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 8)	12,736	6,503	4,326
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	12,736	6,503	4,326
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 7)	1,228	1,081	345
მოკლევადიანი სესხები (შენიშვნა 8)	1,664	6,112	4,855
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,892	7,193	5,200
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	21,432	19,255	15,302

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:

ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი

ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსების მენეჯერი

შპს ვაზიანი კომპანი


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	7,703	7,230	7,113
ბიოლოგიური აქტივები (შენიშვნა 4)	8,427	4,839	-
არამატერიალური აქტივები	20	24	28
სულ გრძელვადიანი აქტივები	16,150	12,093	7,141
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4,016	5,198	4,878
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 4)	1,230	1,660	2,793
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 6)	36	304	490
სულ მიმდინარე აქტივები	5,282	7,162	8,161
სულ აქტივები	21,432	19,255	15,302
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალში შენატანი	245	245	245
გაუნაწილებელი მოგება	5,559	5,314	5,531
სულ კაპიტალი	5,804	5,559	5,776
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 8)	12,736	6,503	4,326
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	12,736	6,503	4,326
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 7)	1,228	1,081	345
მოკლევადიანი სესხები (შენიშვნა 8)	1,664	6,112	4,855
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,892	7,193	5,200
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	21,432	19,255	15,302

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:



ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი



ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსების მენეჯერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	6,445	8,782
გაყიდვების თვითღირებულება (შენიშვნა 9)	(3,867)	(5,283)
საერთო მოგება	2,578	3,499
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (შენიშვნა 4)	2,277	333
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 10)	(1,338)	(1,401)
მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯები	(252)	(408)
სხვა ხარჯები (შენიშვნა 11)	(961)	(775)
ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 12)	(2,059)	(1,465)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	245	(217)
სულ სრული შემოსავალი (ზარალი)	245	(217)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:

ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი

ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსრების მენეჯერი

შპს ვაზიანი კომპანი

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	6,445	8,782
გაყიდვების თვითღირებულება (შენიშვნა 9)	(3,867)	(5,283)
საერთო მოგება	2,578	3,499
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (შენიშვნა 4)	2,277	333
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 10)	(1,338)	(1,401)
მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯები	(252)	(408)
სხვა ხარჯები (შენიშვნა 11)	(961)	(775)
ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 12)	(2,059)	(1,465)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	245	(217)
სულ სრული შემოსავალი (ზარალი)	245	(217)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:



ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი



ქ.-ნი ე. თუშვილი, ფინანსრების მენეჯერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,268	10,243
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(4,287)	(7,394)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	981	2,849
გადახდილი პროცენტი	(1,034)	(598)
ნეტო თანხა საოპერაციო საქმიანობიდან	(53)	2,251
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1,085)	(4,932)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,085)	(4,932)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	14,444	7,358
სესხის ძირის დაფარვა	(13,397)	(4,553)
გადახდილი იჯარის ძირი	(145)	(221)
დივიდენდის გადახდა	-	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	902	2,584
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(237)	(96)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	304	490
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება	(31)	(90)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	36	304

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:

ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი

ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსრების მენეჯერი

შპს გაზიანი კომპანი


2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,268	10,243
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(4,287)	(7,394)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	981	2,849
გადახდილი პროცენტი	(1,034)	(598)
ნეტო თანხა საოპერაციო საქმიანობიდან	(53)	2,251
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1,085)	(4,932)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,085)	(4,932)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	14,444	7,358
სესხის ძირის დაფარვა	(13,397)	(4,553)
გადახდილი იჯარის ძირი	(145)	(221)
დივიდენდის გადახდა	-	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	902	2,584
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(237)	(96)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	304	490
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება	(31)	(90)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	36	304

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:


ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი


ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსრების მენეჯერი

შპს ვაზიანი კომპანი
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	კაპიტალში შენატანი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 01 იანვარს	245	5,531	5,776
სულ სრული მოგება (ზარალი) 2018 წლის განმავლობაში		(217)	(217)
გადახდილი დივიდენდი		-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	245	5,314	5,559
სულ სრული მოგება (ზარალი) 2019 წლის განმავლობაში		245	245
გადახდილი დივიდენდი		-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	245	5,559	5,804

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:

ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი


ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსების მენეჯერი

შპს გაზიანი კომპანი
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	კაპიტალში შენატანი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 01 იანვარს	245	5,531	5,776
სულ სრული მოგება (ზარალი) 2018 წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი		(217) -	(217) -
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	245	5,314	5,559
სულ სრული მოგება (ზარალი) 2019 წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი		245 -	245 -
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	245	5,559	5,804

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია წარსადგენად 2020 წლის 25 დეკემბერს:



ქ.-ნი ნ. მეტრეველი, დირექტორი



ქ.-ნი ე. თუშიშვილი, ფინანსრების მენეჯერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “ვაზიანი კომპანი” (შემდეგში, „კომპანია“), შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თელავი, მშვიდობის ქ., №42.

კომპანიას ფლობს და აკონტროლებს ფიზიკურ პირთა ჯგუფი.

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს).

მსს ფასს-ს შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პროცესში წამოჭრილი გადაწყვეტილებების განხორციელების მართვას. საკითხები, რომლებიც შეიცავს გარკვეულ სირთულეებს ან საკითხები სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებული შენიშვნა 2.18-ში.

საწყისი ბალანსი 2018 წლის პირველი იანვრისათვის (მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი) მომზადებულია ამ სტანდარტების 35-ე თავის მიხედვით. ეს სტანდარტი ითხოვს რომ საწყისი ბალანსი „მსს ფასს“ სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ იყოს მომზადებული ისეთი საბუღალტრო პოლიტიკის მიხედვით, რომელიც ეთანხმება კომპანიის ანგარიშგებების მომზადების დასრულებამდე მოქმედ თითოეულ საერთაშორისო სტანდარტს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული დაშვებულია კონკრეტული სტანდარტის გარდამავალი დებულებებით). წინამდებარე ანგარიშგება კომპანიისათვის პირველია, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ასევე პირველი ფინანსური ანგარიშგებაა საჯარო მოხმარებისათვის). კომპანიამ გამოიყენა 35-ე თავით დაშვებული შედარებითი და ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებად წარდგენილია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის (2018 წლის 1 იანვარი) ძირითადი საშუალებების შეფასებული სამართლიანი ღირებულება.

2.2 უცხოური ვალუტა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შემავალი ანგარიშები განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოზე, სადაც კომპანია ოპერირებს (ფუნქციური ვალუტა, რომელიც არის ქართული ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, ქართულ ლარსა და აშშ დოლარს, და ქართულ ლარსა და ევროს შორის, იხილეთ ქვემოთ:

	აშშ დოლარი	ევრო
01 იანვარი 2018	2.5922	3.1044
31 დეკემბერი 2018	2.6766	3.0701
31 დეკემბერი 2019	2.8677	3.2095

(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით, ქართულ ლარში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადმოიყვანება მოქმედ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით (გაუფასურების ზარალით, თუ ამგვარს ადგილი ექნება).

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი აღდგენილობიდან ამოღების ღირებულებას. შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის (რომელიც კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებებისათვის არსებითად სამიდან ხუთ წლამდეა) განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

2.4 მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

2.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღებია მომხმარებლისგან მომსახურებისათვის თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ ჩვეულებრივ ბიზნესის კურსის ფარგლებში. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.6 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.7 დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლედი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტიის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი

დღგ ზოგადად ამოღებულია ჩასათვლედი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება. ამჟამად, ყველა კომპანიის სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება ერთი წლის ფარგლებში ბალანსის დღიდან და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.9 შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება საქონლის მიწოდებისას.

2.10 თანამშრომლების გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

2.11 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.12 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელის უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს წარმოშობას არ აქვს ადგილი.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის “გამოილი ხელის მანძილის პრინციპით”. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადაფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის კომპანიამ შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადაფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებულია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე “გამოილი ხელის მანძილის” პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელი ან მოდელი გამოილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა

და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს

2.14 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ფინანსურ აქტივები იყოფა სესხების და მოთხოვნების შეფასების კატეგორიებად. სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნია ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადასახდელები გარდა იმისა, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი აისახება მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. ამ უკანასკნელის კლასიფიკაცია ხდება გრძელვადიან აქტივებად.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც “სხვა ფინანსური ვალდებულებები” და მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

2.15 ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობის ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის “ჩვეულებრივი გზა”) დადგენილ ვადებში, აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

2.16 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივა ამოიწურა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი “გავლითი შეთანხმება”, ხოლო ამავე დროს (i) ასევე გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (ii) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებული, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

2.17 ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად ("ზარალის განმაპირობელი მოვლენები"), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, კომპანია ამ აქტივს მიუკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს კომპანია, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მასთან დაკავშირებული გირაოს [უზრუნველყოფის საშუალების], თუ ის არსებობს, რეალიზებადობა. შემდეგი სხვა პრინციპული კრიტერიუმები, რომელიც ასევე გამოიყენება იმის დასადგენად არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის არსებობის დასადგენად, შემდეგია:

- თანხის ნებისმიერი ნაწილი, ან შესატანი თანხის გადახდა ვადაგადაცილებულია და გვიანი გადახდა არ მიეწერება ანგარიშსწორების სიტემით გამოწვეულ დაბრკოლებას;
- კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარის მიერ გადახდის მდგომარეობაში უარყოფითი ცვლილებაა, რაც განაპირობა მთელს ქვეყანაში, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შეცვლამ, რამაც ზეგავლენა მოახდინა კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარეზე; ან
- გირაოს ღირებულება, მისი არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდა საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც წარმოშობილი არ ყოფილა), რომელთა დისკონტირებაც ხდება მოცემული აქტივის თავდაპირველი ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთით. დაგირავებული ფინანსური აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების კალკულაციაში აისახება ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაგირავებული აქტივის უმცირესი ფასებით გაყიდვით ან შესყიდვით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დაგირავებულ აქტივზე უფლების დაკარგვის საშიშროება.

-იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზრალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულდება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა. შემდგომ ამოღებული თანხები, რომელიც ადრე იქნა ჩამოწერილი, დაერიცხება სხვა შემოსავლის ანგარიშს მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.18 მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები, და საადრიცხო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას საადრიცხო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განთავსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შპს გაზიანი კომპანი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა-დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა, ადჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სულ
2018 წლის 01 იანვარი:							
ისტორიული ღირებულება	3,445	181	3,343	52	69	23	7,113
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	3,445	181	3,343	52	69	23	7,113
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის							
შეძენები	181	-	519	29	-	-	729
გასვლები	-	(181)	(1)	-	-	-	(182)
ცვეთის ხარჯი	(74)	-	(337)	(8)	(10)	(1)	(430)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,552	-	3,524	73	59	22	7,230
2018 წლის 31 დეკემბერი							
ისტორიული ღირებულება	3,626	-	3,861	81	69	23	7,660
დაგროვილი ცვეთა	(74)	-	(337)	(8)	(10)	(1)	(430)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,552	-	3,524	73	59	22	7,230
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის							
შეძენები	3	-	632	1	298	-	934
გასვლები	-	-	(5)	-	-	-	(5)
ცვეთის ხარჯი	(74)	-	(336)	(12)	(34)	(1)	(457)
გასული ძირ.საშუალებების დაგრ.ცვეთა	-	-	1	-	-	-	1
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,481	-	3,816	62	323	21	7,703
2019 წლის 31 დეკემბერი							
ისტორიული ღირებულება	3,629	-	4,488	82	367	23	8,589
დაგროვილი ცვეთა	(148)	-	(672)	(20)	(44)	(2)	(886)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,481	-	3,816	62	323	21	7,703

მანქანა-დანადგარები, კომპიუტერული ტექნიკა, ადჭურვილობა და ავეჯი, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 4,222 ლარი (2018: 3,678 ლარი) დაგირავებულია სს ვითიბი ბანკი საქართველო-ს სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

შპს გაზიანი კომპანი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 4. ბიოლოგიური აქტივები

	ვენახი
2018 წლის 01 იანვარი:	
სამართლიანი ღირებულება	-
ბალანსი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
შეძენები	4,506
სამართლიანი ღირებულების ზრდა	333
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,839
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
შეძენები	1,310
სამართლიანი ღირებულების ზრდა	2,278
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,427

ბიოლოგიური აქტივების - ვენახების შეფასება ეყრდნობა წარდგენილი პერიოდებისათვის შესაბამისი ჯიშის ყურძნის ვენახებისათვის არსებულ საშუალო საბაზრო ღირებულებას ერთ ჰექტარზე აშშ დოლარში: რქაწითელის ჯიშისათვის 24 ათასი - 27 ათასი აშშ დოლარი, ხოლოს საფერავის ჯიშისათვის - 28 ათასი - 35 ათასი აშშ დოლარი.

შენიშვნა 5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,680	1,150	2,242
სხვა მოთხოვნები	11	11	3
გადახდილი გადასახადები	-	-	326
გადახდილი ავანსები	121	528	222
საექვო ვალეების რეზერვი	(582)	(29)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,230	1,660	2,793

შენიშვნა 6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
ფული სალაროში	2	2	3
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	3	1	86
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	31	301	401
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	36	304	490

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
სავაჭრო ვალდებულებები	740	268	309
მიღებული ავანსები	287	757	36
გადასახდელი გადასახადები	201	56	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,228	1,081	345

შპს გაზიანი კომპანი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8. სასესხო ვალდებულებები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
საბანკო სესხები:			
მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	1,431	5,778	4,461
გრძელვადიანი სესხები	10,081	4,135	2,087
სესხები დამფუძნებლებისაგან:			
მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	225	209	203
გრძელვადიანი სესხები	2,655	2,368	2,114
ფინანსური იჯარა:			
მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	125	187
გრძელვადიანი სესხები	-	-	125
სესხები სხვა ფიზიკური პირებისგან:			
მოკლევადიანი სესხები	8	-	4
სულ სასესხო ვალდებულებები	14,400	12,615	9,181

საბანკო სესხები გამოზნულია კომპანიის სტრატეგიული განვითარებისთვის საჭირო მოძრავი და უძრავი ქონების ფინანსირებისათვის და წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 10-დან 15 პროცენტამდე.

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მოძრავი ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 3).

სესხები დამფუძნებლებთან წარმოადგენს საბანკო ვალდებულებებისადმი სუბორდინირებულ ფინანსურ დავალიანებას და მათი გადახდა (არც პროცენტის და არც ძირი) არ იგეგმება 2025 წლამდე.

შენიშვნა 9. გაყიდვების თვითღირებულება

	2019	2018
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	3,236	4,686
შრომის ანაზღაურება	454	415
სხვა	177	182
სულ გაყიდვების თვითღირებულება	3,867	5,283

შენიშვნა 10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	432	543
ცვეთა და ამორტიზაცია	462	433
საგადასახადო ხარჯები	117	109
ქირა	120	68
საოფისე და კომუნალური	78	85
სხვა	129	163
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,338	1,401

შპს გაზიანი კომპანი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 11. სხვა ხარჯები

	2019	2018
საექვო ვვალეების ხარჯი	894	747
სხვა	67	28
სულ სხვა ხარჯები	961	775

შენიშვნა 12. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	1,314	973
საკურსო ზარალი	745	492
სულ ფინანსური ხარჯი	2,059	1,465

შენიშვნა 13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ა) ოპერაციები დამფუძნებლებთან:	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
საპროცენტო ხარჯი	186	245
შრომის ანაზღაურება	16	9
სულ	202	254

(ბ) ხელმძღვანელობის ანაზღაურება	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
შრომის ანაზღაურება და თანამშრომლების სხვა მოკლევადიანი სარგებელი	128	219
სულ	128	219

(გ) ნაშთები წლის ბოლოს:	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
დავალიანება დამფუძნებლების მიმართ	2,879	2,578
დავალიანება ხელმძღვანელი პირების მიმართ	-	-
სულ	2,879	2,578

შენიშვნა 14. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

COVID-19-ის პანდემია. 2020 წლის დასაწყისში ვირუსის გამოჩენამ და სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს გარემოზე მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები, მათ შორის გადაადგილების შეზღუდვებისა და დისტანციური მუშაობის მოთხოვნის სახით.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციული და ფინანსური შედეგებიდან, აგრეთვე, ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის მომენტიდან არსებული ზოგადი და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა არ მოელის პანდემიური სიტუაციის რაიმე მყისიერსა და არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე გარდა ტურისტულ ზონაში საცალო გაყიდვებზე (ტურისტულ ზონაში დაგეგმილი საცალო გაყიდვები 80%-ით არის შემცირებული). მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა არ შეუძლია გამორიცხოს პანდემიური ვითარების გაუარესება, შეზღუდვების შემოღება და შედეგად, ამ ყოველივეს ნეგატიური

შპს გაზიანი კომპანი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებსა და მიიღებს ვითარების შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 დეკემბერს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამომშვების შემდეგ.

About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshvili Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge